სტუდენტთა 77-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი

1. სტუდენტთა 77-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების კონფერენციის საინიციატივო ჯგუფი.

2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე. იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უწევს ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური.

3. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.

4. ფაკულტეტის დეკანი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების კონფერენციის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სექციების მიხედვით.

5. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია არის ღია თემატიკის. მონაწილეობის მსურველებს, შესაბამისი სექციის ფარგლებში, შეუძლიათ მათთვის სასურველი თემის შერჩევა.

6. კონფერენციის ფარგლებში, იმუშავებს შემდეგი სექციები: ა) კერძო სამართლის მიმართულება; ბ) სისხლის სამართლის მიმართულება; გ) საჯარო სამართლის მიმართულება (ქვესექციები: კონსტიტუციური სამართალი; ადმინისტრაციული სამართალი); დ) საერთაშორისო სამართლის მიმართულება; ე) სამართლის ისტორიისა და სამართლის მეთოდების მიმართულება.

7. საუნივერსიტეტო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის საკონფერენციო ნაშრომს აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალის (მეცნიერ-ხელმძღვანელის) დადებითი რეკომენდაცია.

8. საკონფერენციო ნაშრომის მომზადება და წარმოდგენა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ან არაუმეტეს სამი სტუდენტის მიერ. პრეზენტაციაში მონაწილეობს ყველა თანაავტორი.

9. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დარეგისტრირებისათვის განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტები: ა) კონფერენციაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტ(ებ)ის განაცხადი/პირად მონაცემთა ფორმა (იხ. ფორმა №1); ბ) მიზანშეწონილობის წერილი (თანხმობა) (იხ. ფორმა №2), რომლის გაცემა შეეძლება

იურიდიული ფაკულტეტის როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირს. მას შემდეგ, რაც სტუდენტი, სასურველი თემატიკის შერჩევასა და საკონფერენციო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით, მასთან გაივლის კონსულტაციას; გ) საკონფერენციო ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ საორიენტაციო მოცულობასა და მის მიმართ წაყენებულ აკადემიურ და ტექნიკურ მოთხოვნებს (იხ. აკადემიური და ტექნიკური მოთხოვნები).

10. საკონფერენციო ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც ელექტრონული (lawconference@tsu.ge), ისე ბეჭდური სახით, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის თაბახის 10-15 გვერდს.

11. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დარეგისტრირებისათვის განსაზღვრული დოკუმენტების მიღება იწარმოებს იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურში (თსუ-ის II კორპუსი, ოთახი №121), 2017 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.

12. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ, ელფოსტის მეშვეობით.

13. კონფერენციაზე მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ 10-15 წუთიანი მოხსენებები, ზეპირი გამოსვლის სახით (შესაძლებელი იქნება Power Point-ის გამოყენება).

14. საკონფერენციო ნაშრომისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია: ა) თემის აქტუალობის წარმოჩენა და მიღებული შედეგების დასაბუთება; ბ) თავისუფალი აზროვნება და დასკვნების გაკეთების უნარი; გ) პრეზენტაციისა და დისკუსიის წარმოების უნარი; დ) ნაშრომის აკადემიური და ტექნიკური შეფასება (მათ შორის, დაცულია, თუ არა სტრუქტურის ლოგიკური ხაზი და ციტირება).

15. ფაკულტეტის საკონფერენციო ჟიური შეიმუშავებს სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტერიუმებს ქულობრივი მაჩვენებლებით, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე ეცნობება მონაწილეებს.

16. სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის გამოსვლას აფასებს ჟიურის თითოეული წევრი სათანადო უწყისში კრიტერიუმების მიხედვით.

17. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის შედეგები მონაწილეებს ეცნობებათ კონფერენციის ჩატარებიდან არაუგვიანეს ორ დღეში, იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

18. კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვება მოხდება უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა-დოქტორანტურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად.

19. კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა ნაშრომები დაიბეჭდება თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში.

ფორმა №1

განაცხადი (სტუდენტის პირადი მონაცემების ფორმა)

სახელი, გვარი:

თემის სათაური:

მიმართულების დასახელება:

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო სემესტრი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელფოსტის მისამართი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი:

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში:

ფორმა №2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურს

(მიუთითეთ აკადემიური თანამდებობა/სტატუსი, სახელი/გვარი)

მიზანშეწონილობის წერილი (თანხმობა)

ეძლევა ---------- საგანმანათლებლო პროგრამის ---------- სემესტრის სტუდენტ(ებ)ს ----------, იმის დასტურად, რომ შერჩეული თემა: ---------- ---

აქტუალურია და შესაძლებელია მასზე საკონფერენციო ნაშრომის მომზადება.

/ხელმოწერა/

/თარიღი/

საკონფერენციო ნაშრომისადმი წაყენებული აკადემიური და ტექნიკური მოთხოვნები

ნაშრომი უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). ტექსტი უნდა იყოს შესრულებული Microsoft Word-ის დოკუმენტში, Sylfaen-ის ფონტით. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა – 12. სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა – 10. სტრიქონებს შორის დაშორება – ერთი ინტერვალი.

სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული თითოეული გვერდის ბოლოს.

წყაროები უნდა იყოს ციტირებული შემდეგნაირად:

ა) **წიგნი**: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, ნაშრომის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ., ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010 წელი, გვ. 15.);

ბ) **საჟურნალო სტატია**: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება ***იტალიკით***, ჟურნალის დასახელება, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ., ქ. პოლმანი, *ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კვლევების ზოგიერთი პერსპექტივა*, ქართული სამართლი მიმოხილვა, I, 2001 წელი, გვ. 83.);

წიგნზე, ჟურნალსა და სტატიაზე მითითება ხდება დედნის ენაზე. უცხოენოვანი წიგნის დასახელება არ ითარგმნება ქართულ ენაზე.

გ) **საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება**: მიეთითება საქმის სახელი **ქართულ** და **ორიგინალურ** ენაზე ***იტალიკით***, გადაწყვეტილების მიღების თარიღი და პუნქტი. მაგ., *ბრონდა იტალიის წინააღმდეგ* (*Bronda v. Italy*), 1998 წლის 9 ივნისი, 21-ე პუნქტი.